



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №014/18¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

დაირღვევა თუ არა ეთიკური ვალდებულება, თუ ადვოკატი მიმართავს სასამართლოს არსებული კლიენტის წინააღმდეგ გადაუხდელი ჰონორარის მოთხოვნის საფუძველით?

ანალიზი:

ადვოკატისათვის მიმართვის დროს, შესაძლებელია პირმა ადვოკატს გააცნოს მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია, საქმის მასალები, რაც წარმოადგენს კონსულტაციის მსურველი პირისგან მისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიღებას და აღნიშნული ეტაპიდან უკვე ადვოკატზე ვრცელდება ეთიკური ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, თუნდაც მათ შორის სამომავლოდ არ ჩამოყალიბდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატი არსებული კლიენტის საქმეს აწარმოებს, რაც გულისხმობს რომ მათ შორის ურთიერთობა არ შეწყვეტილა და კლიენტს გააჩნია ადვოკატისადმი ნდობა, რომ ის დაიცავს და წარმოადგენს მის ინტერესებს. ასეთ გარემოებაში, შეუძლებელია ადვოკატმა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს და მის წინააღმდეგ აწარმოოს დავა. ასეთ დროს, ერთმანეთს უპირისპირდება კლიენტისა და ადვოკატის პირადი ინტერესი და ადვოკატის მიერ ირღვევა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, ამავე დროს კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპები. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის დასრულდება ურთიერთობა, ადვოკატს შეუძლია ჰონორარის გადაუხდელობის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს კლიენტის წინააღმდეგ, თუმცა უნდა იმოქმედოს ეთიკური ვალდებულებების დაცვით, მათ შორის დაიცვას კლიენტის საქმის თაობაზე მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაამჟღავნოს ის, თუ არ არსებობს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები, რა შემთხვევაშიც, შესაძლებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია მისი კლიენტის წინააღმდეგ მისთვის ჰონორარის გადაუხდელობის მოთხოვნით აწარმოოს დავა მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდგომ.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc529d1fd0.pdf/zepiri%20014.18%20gacemis%20tarigi%2002.10.18.pdf>